

სსიპ კოლეჯი „ლაკადა“



საგანმანათლებლო პროგრამები

- მემდუღებელი
- ხის მხატვრული დამუშავება

2021

# დაწესებულების მისია

პროფესიული კოლეჯი „ლაკადა“, სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვით უზრუნველყოფს სტუდენტთა პროფესიული განათლების მაღალი დონის მიღწევას რეგიონის და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის. კოლეჯი ორიენტირებულია კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებასა და დასაქმებაზე.

სსიპ კოლეჯი „ლაკადა“ დაარსდა 1983 წელს, როგორც პროფესიული ტექნიკური სასწავლებლი. არსებობის მანძილზე სტატუსი რამდენიმეჯერ შეიცვალა. კერძოდ, 1993 წელს მრავალდარგოვან სახელმწიფო კოლეჯად გადაკეთდა, 2007 წელს პროფესიული სწავლების ცენტრად.

2011-2019 წ. როგორც პროფესიული კოლეჯი,

## 2019 წლიდან სსიპ კოლეჯი „ლაკადა“

კოლეჯი მდებარეობს ოკუპირებული აფხაზეთის სასაზღვრო ტერიტორიასთან, მისი ამოცანაა პროფესიული განათლების პროგრამის, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადება - გადამზადების პროგრამების განხორციელება და მასში როგორც ადგილობრივი ასევე აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებთა ჩართვა.



კოლეჯი „ლაკადა“ დღეს განახლებული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და საჭირო ინვენტარით აღჭურვილი აგრძელებს წარმატებულ საქმიანობას, რაც რეგიონის პროფესიული განვითარების მყარი გარანტიაა.



კოლეჯი ამ ეტაპზე ანხორციელებს შრომის ბაზარზე ორიენტირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს: ინჟინერიის, ჯანდაცვის, სამშენებლო და ხელოვნების მიმართულებებით.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

და გაიცემა შესაბამისი საფეხურის დიპლომი.

კოლეჯი დარეგისტრირებულია იურიდიულ მისამართზე:

ქ.ჯვარი, ყაზბეგის #2

ელ. ფოსტა: [ssipjvari@gmail.com](mailto:ssipjvari@gmail.com)

ვებ-გვერდი: [lakada.edu.ge](http://lakada.edu.ge)

## შ ე დ უ ლ ე ბ ა

➤ პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენებზე- შედუღება / Welding

➤ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენებზე, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროგრამა / სარეგისტრაციო ნომერი - შედუღება / Welding/ 07310-პ

➤ მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში / Basic Vocational Qualification in Welding

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - მექანიკა და ლითონის საქმე - კოდი 0715.

➤ პროგრამის მიზანი - პროგრამის მიზანია მესამე დონის პროფესიული კვალიფიკაციის მქონე კადრების მომზადება შედუღებაში, რომლებიც იქნებიან კონკურენტუნარიანი როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზარზე.

➤ დაშვების წინაპირობები

- საბაზო განათლება;
- „სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV -100/ა“, ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა.

➤ დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

შედუღების საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ისეთ პროფესიებზე, როგორცაა: შემდუღებლები და აირმჭრელები, რომლებიც ადუღებენ და ჭრის ლითონის ნაწილებს აირის სანთურის, ელექტრორკალური ან სხვა გამაცხელებელი საშუალებების გამოყენებით, შესაბამისად დასაქმების შესაძლებლობებია შესაბამის ორგანიზაციებსა და სფეროში. პირს შეუძლია იყოს თვითდასაქმებული.

➤ სტრუქტურა და მოდულები :

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში მოიცავს 2 ზოგად მოდულს ჯამური 6 კრედიტის რაოდენობით. 9 პროფესიულ მოდულს ჯამური 32 კრედიტის რაოდენობით. შედუღებაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს **38 კრედიტი**.

მოდულის, „ქართული ენა A2“ (15 კრედიტი) გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს რუსული, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე) შერჩევის გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება „ქართული ენა A2“ მოდულით. შესაბამისად, კრედიტთა ჯამური რაოდენობა იქნება **53 კრედიტი**.

➤ მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამისი სწავლის შედეგები

### კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შეადულოს ლითონის ნაწილები აირის სანთურით, ელექტრორკალით, თერმული ნაერთებით ან სხვა მეთოდებით
2. გამოიყენოს სარჩილავი ტყვიის შემცველი ნაკეთობების (მილების, ზედაპირების და სხვა) შესაკეთებლად
3. შეაერთოს ლითონის ნაწილები მყარი კომპონენტით
4. დაჭრას ლითონი აირის სანთურის ან ელექტრორკალის გამოყენებით
5. შეაერთოს ლითონის ნაწილები ხელის სარჩილავით, რბილი კომპონენტით
6. შეარჩიოს თერმული მომზადების, მორგების, შედუღების პროცესის რეჟიმი მასალის არასასურველი დეფორმაციის, გადახურების, გადაგრეხვის, შეკუმშვის, გაფართოების აცილების მიზნით
7. დაადგინოს დეფექტები და წუნები
8. შეამოწმოს შესრულებული სამუშაოების სიზუსტე სპეციფიკაციით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობაზე.

### პროგრამის ხანგრძლივობა:

სწავლების ხანგრძლივობა 7 სასწავლო თვე ( 28 სასწავლო კვირა).

თუ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე შერჩევის გზით ჩაირიცხა პირი, მან სავალდებულოდ უნდა დაიწყოს სწავლა „ქართული ენა A2“ მოდულით, რომლის სწავლება ხორციელდება 20 სასწავლო კვირის ( 5 სასწავლო თვე) მანძილზე. შესაბამისად, მათთვის სწავლის ხანგრძლივობა იზრდება 5 სასწავლო თვეთ.

### 10.სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები სახით მოცემულია მოდულებში.

პროგრამა მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე (ინგლისურ ენაზე) კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია;



დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში ფასდება ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი. კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

#### **მართლმეტყველება**

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების

ადეკვატურად გამოყენება (მაგ.,

ქესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

#### **მართლწერა**

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა -

ბარბარიზმები, ჟარგონები;

• ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

### **11. კვალიფიკაციის მინიჭება**

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ პრეროგატივას. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

## ხის მხატვრული დამუშავება

- ▶ **პროგრამის სახელწოდება:** ხის მხატვრული დამუშავება
- ▶ **ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი:** 02123-3
- ▶ **მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე:** საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ხის მხატვრულ დამუშავებაში / Basic Vocational Qualification in Wood Artistic Processing
- ▶ **პროგრამის მიზანი:**

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება ხის მხატვრული დამუშავების სფეროსთვის, რომელმაც იცის ხის მხატვრული დამუშავებისთვის საჭირო დანადგარების, ხელსაწყოებისა და მასალის შერჩევა, ესკიზისა და ნახაზის შესრულება, კომპიუტერული გრაფიკული პროგრამების გამოყენებით ხის ავეჯის კონსტრუქცია, ესკიზის მიხედვით ხის მხატვრული კვეთა, ხის ავეჯისა და დეკორატიული ნივთების დამზადება უსაფრთხოების წესების დაცვით, ხის დაზიანებული ავეჯის შეკეთება.

- ▶ **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**  
საბაზო განათლება
- ▶ **კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები**



**ხის მხატვრულ დამუშავებაში** საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი შესაძლოა დასაქმდეს ავეჯის კონსტრუქტორად, ეკლესიების, სკოლების, რესტორნების ავეჯის მწარმოებლად, სპეციალური ავეჯის (დახლების, ვიტრინების, თაროების და მისთ) მწარმოებლად, საოფისე ავეჯის მწარმოებლად, ხის საყოფაცხოვრებო ნივთებისა და სამზარეულოს საკუთნოების მწარმოებლად, ხის სტატუეტების და ორნამენტების, ხის ინკრუსტაციების, ხის ფერადი მოზაიკის მწარმოებლად, ხის ყუთების, საიუველირო ნაკეთობების, სასადილო საკუთნოების და მსგავსი ნაკეთობების მწარმოებლად.

პირს შეუძლია დასაქმდეს: ავეჯის დამამზადებელ საწარმოში, ხის დამამუშავებელ საწარმოში, ხის წნული ნივთების დამამზადებელ სახელოსნოში, შექმნას კერძო წარმოება და აწარმოოს საკუთარი ბიზნესი.

- ▶ ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 16.29; 16.29.0; 31.0; 31.01; 31.01.0.
- ▶ დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდები: 7522; 7523.

- ▶ **მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები:**

**კურსდამთავრებულს შეუძლია:**

1. შექმნას კომპიუტერული გრაფიკული პროგრამების გამოყენებით ხის ნაკეთობათა ესკიზი/ნახაზი
2. დაამუშავოს მერქანი და მერქნული მასალა
3. ააწყოს და მოაპირკეთოს ხის ნაკეთობები
4. განახორციელოს მარტივი და რთული მხატვრული კვეთა ხეში
5. განახორციელოს კომპიუტერული დანადგარების გამოყენებით ხის მხატვრული დამუშავება
6. დაამზადოს ხის მხატვრული ნიმუში მოზაიკური ტექნოლოგიით
7. შექმნას ხის წნული ნაკეთობები

8. განახორციელოს ხის ნაკეთობების შეკეთება.

### ▶ **პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:**

პროგრამა მოიცავს 6 ზოგად მოდულს - ჯამური 17 კრედიტის რაოდენობით, 5 საერთო პროფესიულ მოდულს - ჯამური 16 კრედიტის რაოდენობით, 9 პროფესიულ მოდულს - ჯამური 46 კრედიტის რაოდენობით და ხის მხატვრული დამუშავების მიმართულების 2 არჩევით მოდულს - ჯამური 11 კრედიტის რაოდენობით.

ხის მხატვრულ დამუშავებაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს **90 კრედიტი**.

**მოდულის ქართული ენა A2** გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით.

აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. მათთვის პროგრამის მოცულობა შეადგენს 93 კრედიტს. მათ შორის 15 კრედიტი განკუთვნილია „ქართული ენა A2“ მოდულის სწავლებისათვის.

**პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:**

ა) ქართულენოვანი სტუდენტებისათვის:

- მოცულობა: 90 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 15 სასწავლო თვე

ბ) არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის:

- მოცულობა: 105 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 18 სასწავლო თვე

### ▶ **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიდგომა**

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება მოდულური მიდგომით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა დაგეგმილია შემდეგი თანმიმდევრობით: ზოგადი მოდულების პარალელურად მიმდინარეობს გაცნობითი, საერთო პროფესიული, პროფესიული და არჩევითი მოდულები, ხოლო შემდეგ - პრაქტიკული პროექტი და საწარმოო პრაქტიკა, პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმების ფარგლებში.

### ▶ **სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება:**

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათმორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში ფასდება ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით: პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

#### **მართლმეტყველება**

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

#### **მართლწერა**

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახლის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაზუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

### **11. კვალიფიკაციის მინიჭება**

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ პრეროგატივას. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.